შეთანხმება №1
2019 წლის 30 დეკემბრის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
№263 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

დ. ქედა

29. 01. 2020 წ.

ქედის მუნიციპალიტეტის და ინდ. მეწარმე ავთანდილ სანიკიძეს შორის 2019 წლის 30 დეკემბერს დაიდო №263 ხელშეკრულება, **ახოს ბაგა-ბაღის რემონტის სამუშაოების** შესყიდვაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ორგანოს ტექნიკური საბჭოს 2020 წლის 29 იანვარის #1 სხდომის ოქმის თანახმად, ახოს ბაგა-ბაღის შენობის გარე ფასადის სამუშაოები დიდთოვლობის და ყინვების გამო გაჭიანურდა რის გამოც მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული #263 ხელშეკრულების სამუშაოების შესრულების ვადა გაგრძელდეს 14 კალენდარული დღით 2020 წლის 12 თებერვლამდე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ერთის მხრივ ქედის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის ლევან გორგილაძის სახით და მეორეს მხრივ ინდ. მეწარმე ავთანდილ სანიკიძე (შემდგომში „მიმწოდებელი") მოქმედი კანონმდებლობის და 2019 წლის 30 დეკემბრის №163 ხელშეკრულების მე-13 მუხლის საფუძველზე შეთანხმდით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება 2019 წლის 30 დეკემბრის #163 ხელშეკრულების მე-7 მუხლიში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 7. სამუშაოს მიწოდების და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1. სამუშაოს შესრულების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 44 კალენდარული დღე, 2020 წლის 12 თებერვლამდე.

7.2 . ხელშეკრულება ძალაშია მისი მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან 2020 წლის 12 მარტამდე.

3. ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები რჩება უცვლელი.

4. შეთანხმება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერისთანავე.

5. წინამდებარე დანართი შედგენილია ორ ეგზემპლიარად და ის წარმოადგენს მხარეთა შორის 2019 წლის 30 დეკემბრის №163 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

„შემსყიდველი":
ქედის მუნიციპალიტეტი
მერი
ლევან გორგილაძე

„მიმწოდებელი":
ინდ. მეწარმე
ავთანდილ სანიკიძე

Avtandil Sanikidze
Digitally signed by Avtandil Sanikidze
Date: 2020.01.29 17:32:11 +04'00'

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ორგანოს ტექნიკური საბჭოს
სხდომის ოქმი N1

29 იანვარი, 2020 წელი

დაბა ქედა

სხდომის თავმჯდომარე: ქედის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე: **რ. ბერიძე**

ტექნიკური საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე: ს. ბოლქვაძე

ტექნიკური საბჭოს წევრები: გ. ანანიძე, ს. სურმანიძე, ჯ. დიასამიძე

დღის წესრიგი

ქედის მუნიციპალიტეტის მიერ ინდ. მეწარმე ავთანდილ სანიკიძესთან ახოს ბაგა-ბაღის სარემონტო სამუშაოების შესრულების თაობაზე გაფორმებულ N263 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: **ჯ. დიასამიძე**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ინდ. მეწარმე ავთანდილ სანიკიძე N263 ხელშეკრულების პირობების შესაბამისად აწარმოებს სოფელ ახოს ბაგა-ბაღის სარემონტო სამუშაოებს. ხელშეკრულების შესაბამისად სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2020 წლის 29 იანვრამდე. დღეის მდგომარეობით სამუშაოების ძირითადი ნაწილი დასრულებულია და დარჩენილია გარე სამუშაოები, რომელთა შესრულება დიდთოვლობის და ყინვების გამო შეუძლებელია, ამიტომ სამუშაოების შემსრულებელი ინდ. მეწარმე ავთანდილ სანიკიძე მოითხოვს სამუშაოების დასრულების ვადის გაგრძელებას.

აზრი გამოთქვეს: ტექნიკური საბჭოს წევრებმა რ. ბერიძემ, ს. სურმანიძემ, რომლებიც დაეთანხმენ მომხსენებლის წინადადებას.

დაადგინეს:

1. რეკომენდაცია მიეცეს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობას, შეიტანოს ცვლილება ინდ. მეწარმე ავთანდილ სანიკიძესთან 2019 წლის 30 დეკემბერს ახოს ბაგა-ბაღის რემონტის თაობაზე გაფორმებულ N263 ხელშეკრულებაში და სამუშაოების დასრულების ვადა გაუგრძელოს 14 კალენდარული დღით 2020 წლის 12 თებერვლამდე, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2020 წლის 12 მარტამდე.

2. შესყიდვების განყოფილებამ უზრუნველყოს შესაბამისი ცვლილებების მომზადება და ატვირთვა სისტემაში.

ტექნიკური საბჭოს თავმჯდომარე : /რ. ბერიძე/

ტექნიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე: /ს. ბოლქვაძე/

წევრები : /გ. ანანიძე/

/ს. სურმანიძე/

/ჯ. დიასამიძე/

ქედის მუნიციპალიტეტის მერის

პირველ მოადგილეს

ბატონ როლანდ ბერიძეს

ბატონო როლანდ:

გაცნობებთ, რომ 2019 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული №263 ხელშეკრულების საფუძველზე ვაწარმოებ ახოს ბაგა ბაღის რემონტს. ხელშეკრულებით მშენებლობის დასრულების ვადა არის 29 იანვარი.

უხვი ნალექებისა (თოვლი) და ნესტიანი ამინდის გამო ვერ ვასრულებ გარე კანალიზაციის მოწყობას და შიდა კედლების შეღებვას რადგან ნესტიანი ამინდის გამო არ ხერხდება კედლების გამოშრობა. რის გამოც ვერ ვახერხებ პროექტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების ვადა გადაგვიწიოთ.

წერილს თან ერთვის გარემოს ეროვნული სააგენტოს ცნობა.

ი.მ. "ავთანდილ სანიკიძე" Avtandil Sanikidze Digitally signed by Avtandil Sanikidze Date: 2020.01.28 10:24:44 +04'00'

28-01-2020 წ

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

N 12/1-44

27 01 2020

ინდ. მეწარმე

ბ-ნ ავთანდილ სანიკიძეს

ბატონო ავთანდილ,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტო"-სა და თქვენს შორის 2020 წლის 27 იანვარს გაფორმებული ფასიანი მომსახურების შესახებ №ფმ-1/51 ხელშეკრულების შესაბამისად, დაბა ქედის მეტეოროლოგიური საგუშაგოს მონაცემებზე დაყრდნობით, გაწვდით ინფორმაციას 2020 წლის 24 იანვრიდან 27 იანვრის ჩათვლით დაფიქსირებული ნალექისა და თოვლის საფარის სიმაღლის შესახებ:

თვე და რიცხვი	თოვლის საფარის სიმაღლე	ნალექი
2020 წ. 24.01	+6	თოვლი
25.01	-2	თოვლი
26.01	-5	უნალექოდ
27.01	-3	უნალექოდ

პატივისცემით,

სააგენტოს უფროსი

ანდრო ასლანიშვილი

წ. აღმაშენებლის გამ. 150, 0112, თბილისი, საქართველო
150 D. AGMASHENEBELI AVE., 0112, TBILISI, GEORGIA

Tel.: +995 32 2439503 Fax: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge